ბრძანება:**№63. 6326097001**
თარიღი:**07/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 8 აპრილის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის''-ის 26-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეული იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 2026 წლის 8 აპრილს 11 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი იქნას დღის წესრიგის შემდეგი საკითხები:

1. 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.203), ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348) და ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.სირბილაძე/

4. სხვადასხვა

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი